ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 189

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საქართველოს პარლამენტის აპარატისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, საქართველოს პარლამენტის წევრის, კ.ნარჩემაშვილის 2019 წლის 7 ივნისის №6588/3-78/19 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 ივნისის №01/14076 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას საქართველოს პარლამენტის აპარატისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №3-ში მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე არსებული ერთი ოთახის (ფართობით – 35,10 კვ.მ.) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საკადასტრო კოდი №03.03.21.456).

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია